სამშობლო

პარასკევი,
1 აპრილი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე 5 [illegible] დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კი ვადა ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ნონპარელის სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილიდან კაპეიკის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ... 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 324 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 324

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე

„სამშობლო“-ზე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

გულდადაგულნი მოხუცი მშობლები სამსონი და ანა დაობლებული შვილები თამარ, მაქრო, ტერეზა და ელენე, გაუბედურებული ძმა თომა და რძალი ცუცა მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს დაკარგვას პირველნი შვილისას, მეორენი მამისა, მესამე ძვირფასი ძმისა და უკანასკნელი მაზლისა

პეტრე სამსონის ძის მაჭავარიანისას,

და სთხოვენ მობრძანდენ და დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას ამა წლის
116 თრ აპრილს დღით შაბათს, სოფელ ბოხში, შორაპნის მაზრაში. 2—1

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი ჭირისუფალნი: კოლეჟსკი სეკრეტარი დიანოს ივანეს ძე ჩიხლაძე, ძენი ამისი ალექსანდრე და ვალერიანი, ასულნი აწა (ცუცა), ვერა და ბაბილინა, რძალი ლონია, სიდედრი ალათი გოგიავასი, ეკატერინა პეიშვილისა, კონსტანტინე და დავით გოგიავები აუწყებენ რა ერთი დღის ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორენი დედისა, მესამე ღედამთილისა, მეოთხე ასულისა და დანარჩენი დაუვიწყარი დისა.

ელენე (ელიკო) ვასილის ასულის ჩიხლაძისას,

უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდენ გასვენების დღეს 2 აპრილს, დღით შაბათს, პოლიციის ქუჩაზე საკუთარ სახლში, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე

119 პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს ხუთ საათზე. 1—1

შაბათს, 2 აპრილს, დილის 11 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე, გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

დიანოს მახარბელის ძე სვანიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებ ნათესავთა და ნაცნობთ შვილი მიხეილ დიანოსის ძე სვანიშვილი.

ქვრივი **ქეთევან ბახტურიძისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 2 აპრილს, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ნიკო დავითის ძის ბახტურიძის

სულის მოსახსენებლად. ქუთაისის გოპოურის მიძინების ეკლესიაში.
1—120—1

ბურახი (კვასი) „ესპერანტო“

ადუღებული წყალით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ანალიზ გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თფილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში. ერთი ლიმონათის და ნარზ ნის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., ლუდის ბოთლი 10 კ., შამპანიურის ბოთლი 12 კ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გაახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიატანიებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება. ბურახი შეინახეთ ცივათ, გასძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ ბურახი ტკბილი და შუშხუნაა—შეაჩერეთ ერთ დღეს და დამაჭრდება. ბურახი (კვასი) ერთნაირი კეთდება თუ უვარგისობით განსხვავდება ნახოთ, მოსთხოვეთ მოიტანს პასუხი, რადგან ჩვენ იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნამალევათ თავის ბურახს (კვასს).

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა
12—11 **გამგეობა.**

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

30, 31 მარტს და 1 აპრილს ნაჩვენები იქნება:

იერიში და არზრუმის აღება.

ორ დიდ განყოფილებათ. გადაღებულია ბუნებიდან სკობელევის კომიტეტისაგან დაწვრილებით აფიშებში.

წარსულის ჯამი.

ნორდისკის ოქროს სერია. თანამედროვე დრამა 3 ნაწ. კოპენჰაგენის სამეფო თეატრის ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით. უმთავრეს როლებში გამოვლენ: **ევა ტომსენი და რობერტ დინზენი.**

ქრონიკა გომონისა.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

30, 31 და 1 აპრილს, 1916 წ. ნაჩვენები იქნება:

იერიში და არზრუმის აღება.

2 ნაწილად სურათი გადაღებულია იერიშის და არზრუმის დამხობის დროს სკობოლევის კომიტეტის მიერ.

შეურაცყოფილი სიყვარული და დაღუპვის პირას.

ძლიერი დრამა სამ ნაწილად.

ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა თანახმად წესდების მე-13 მუხლისა, აცნობებს ბ. ბ. წევრებს, რომ წევრთა წლიური

საზოგადო კრება

დანიშნულია შაბათს, 2 აპრილს 1916 წ. საღამოს $7^1/_2$ საათზე თეატრის დარბაზში. კანონიერ კრებისათვის საჭიროა გამოცხადდეს არა ნაკლებ $^1/_4$ ყველა წევრებისა. უკეთუ ამ რიგათ წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ჩვეულებრივი კრება არ შესდგა, თანახმად წესდების 14 მუხლისა მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად გამოცხადებული წევრების რაოდენობისა, შესდგება 6 აპრილს.

განსახილველია:

1. მოხსენება გამგეობის წლიური მოქმედების შესახებ. 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3. 1915—16 წლ. წლიური ანგარიში. 4. 1916—17 წლ. ხარჯთ აღრიცხვა 5 ქართველ მსახიობთა ამხანაგობის 1915—16 წლ სეზონის ანგარიში. 6. გამგეობის მოხსენება წესდების შეცვლის შესახებ. 7. გამგეობის მოხსენება კულტურულ საზოგადოებათა კავშირში ჩაწერის შესახებ. 8. საკითხი 1916—17 წლ. ზამთრის სეზონის შესახებ. 9. არჩევნები:—გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრებისა და 3 რწმუნებულის კულტურულ საზოგ. კავშირის კრებებზე წარსაწ რებლად. საწევრო გადასახადი თანახმად წესდებისა—3 მანეთია წევრად ჩაწერა შეიძლება მხოლოდ 2 აპრილს საღამოს 7 საათამდი. წევრთა ჩაწერა შეიძლება დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი. 3—2

ექიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. სავავათმყოფოს **ორდინატორი.** განსაკუთრებით კანის, ვენერიულ **და სიფილისიანი** ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, **დილით,** 12 — საათ საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლეჟავაშვილის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი **ვალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №
14 46, ტელეფონი № 87. თ.

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების იღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული „წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, [illegible] სახლი. თ 3

ექიმი ა. მ. **ახათიანი.** განახალა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე,
11 სახლი № 2. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** ულის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ბეითალი **პ. ვ. ნეფროწოვი** ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალავერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.
მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის
113 სახლში №3 1—თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

30 მარტი. დვინის ფრონტზე და დვინსკის რაიონის სამხრეთით ალაგ-ალაგ საარტილერიო სროლაა. გუშინ მოპირდაპირის არტილერიამ რამდენჯერმე დაუშინა ყუმბარები იკსკიურის რაიონში ჩვენს სახიდო სიმაგრეებს. ლიუბლინის რაიონში, პინსკის დასავლეთით ჩვენს პარტიზანებს გერმანელთა მზვერავებთან რამდენიმე შეტაკება მოუხდათ წარმატება ჩვენებს ჰქონდათ. ოლიკის ჩრდილოეთითა და სამხრეთით უკუვაგდეთ მტერი, რომელიც სცდილობდა ჩვენს თხრილებთან მოახლოებასა და მათ ახლოს დამკვიდრებას.

კავკასიის ასპარეზი.

არზრუმის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე ახალი პოზიცია დაიკავა ურმიის ტბის სამხრეთით ჩვენ მიერ დამარცხებული ქურთთა რაზმი საჩქაროთ იხევს სამხრეთისაკენ.

მსოფლიო ომი.

(დღიური).

რუსეთის მთავარი შტაბის დეპეშა გვიან მოვიდა.

საფრანგეთ—ბელგიისა და გერმანიის ასპარეზზე გადამწყვეტი ბრძოლა მხოლოდ ვერდენთან სწარმოებს: აქ გერმანელებმა სამი პუნქტი ამოირჩიეს: მორტომ-კიუმერი, დუომო-ვო და ვევრის რაიონი, უკეთ—მულენვილის სიმაგრეები, რომლებიც ვერდენიდან სულ 5—6 ვერსით არის დაშორებული და მდებარეობ პირდაპირ აღმოსავლეთით. ამ უკანასკნელ დღეებში უფრო გამწვავებულ გაალმასებული იერიშები პირველ და მეორე პუნქტებზე მიაქვთ; ამასთან იერიშების დროს ხმარობენ ყოველგვარ ძველსა და ახალ საშუალებებს. დღევანდელ დეპეშაში მაგალითად ნათქვამია, რომ გერმანელებმა რაღაც ნაირი ჰაერ გვარით გატენილი ყუმბარები იხმარეს, რომლებიც მოიპირდაპირე ჯარის კაცებს ცრემლთა დენას აუტეხს ხოლმე და მაშასადამე მოძრაობა-მოქმედების ნიჭს აკარგვინებს; იხმარეს აგრეთვე ცეცხლისა და მდუღარის მფრქვეველი იარაღებიც. ფრანგების მხრიდან ჯერ კიდევ არ ისმის ასეთი იარაღების ხმარება: ალბათ ასეთი რამ მათ ჯერ კიდევ არ მოეპოებათ. რა შედეგს მიაღწიეს გერმანელებმა ზემო აღნიშნულ პუნქტებში, დეპეშებში გარკვეული ცნობა არაა. ვიცით მხოლოთ, რომ უკანასკნელ დღეს გერმანელებს მორტომ—კიუმირის ხაზზე მოჰქონდათ იერიში, აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ბეტანფური და მისი რაიონი უკვე მეტ სიმტკიცესა და შეუდრეკლობას იჩენენ: აქ კრანგთა პოზიციებს ვერდენის ფრონტის წინა ნაწილი აქვთ დაკავებული სხვა ფრონტზე ცნობები არაა.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ტრაპიზონის გარშემო.

გაზეთ „რეჩის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს: როგორც ეტყობა, ოსმალების მედგარი ბრძოლა ყარადერეს მარჯვენა ნაპირების სიმაგრეების დასაცველად იქეთკენაა მიმართული, რომ რადაც უნდა დაუჯდესთ რუსეთის ჯარის ტრაპიზონისკენ მოძრაობა შეაჩერონ. რუსეთის ჯარის ყარადერეზე გამოჩენა ოსმალებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. ამიტომ რუსეთის ჯარმა, თუმცა მას ზღვიდან „ბრესლაუ“ ყუმბარებს აყრიდა, თავზარი დასცა ოსმალებს და ერთი დაკვრით ყარადერეს გაღმა გარეკა. ტრაპიზონი ჯერ კიდევ შორსაა და მას ოსმალები, რაც კი გაეწყობათ, მტკიცედ იცავენ და ვიდრე ის ოსმალთა ხელში იქნება, მათი ჯარების ერზიჯანისაკენ უკან დახევაც უზრუნველყოფილია. მართალია, ოსმალებს შავი ზღვის პირადაც აქვთ რამდენიმე ნავსადგური, მაგრამ ისინი გარდა სინოპისა ჯერ კიდევ გაუმაგრებელ მოუწყობელია. სინოპი კი სივასიდან, რომელიც ოსმალთა ჯარების ახალ ბაზათ ითვლება, დიდი მანძილით არის დაშორებული; ამიტომ სინოპი მკვებავ პუნქტათ ნაკლებათ გამოდგება. ტრაპიზონის დაპყრობისთანავე ოსმალეთის ჯარებისათვის ერზიჯანიც თავის მნიშვნელობას დაკარგავს; ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრაპიზონი ყველაზე უკეთ არის გამაგრებული: მას კრუპის სისტემის ზარბაზნები ბლომად მოეპოვება, სიმაგრეებს ჯავშანის გუმბათები ამშვენებენ, აქვს პროჟექტორები და სხვა ახლათ გამოგონილი სამხედრო იარაღები.

გენერალ კუროპატკინის იმედით.

როგორც მკითხველებმა უკვე იცის მდ. დვინის ფრონტზე მეომარ რუსეთის ჯარების მთავარ სარდლათ უმაღლესად მოწოდებულ იქნა რუსეთ-იაპონიის ომში გამოცდილი გენერალი კუროპატკინი. ახლა იურიევის უნივერსიტეტმა მთავარ სარდალს კუროპატკინს დეპეშით მიულოცა და გამარჯვება უსურვა; უნივერსიტეტი დეპეშაში იმედს გამოსთქვამს, რომ გამოცდილი გენერლის ხელით მას მომავალ უბედურებას თავიდან ააცილებს და მრისხანე მტერს უკან გააბრუნებს. ამ იმედით უნივერსიტეტით თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას განაგრძობს და თავის ისტორიულ ადგილს არ გაშორდება, ე. ი. კუროპატკინის იმედით „ევაკუაციას“ მოახდენს.

ბულგარეთი რუმინიის წინააღმდეგ.

„რუსკოე სლოვოს“ საიდანღაც ატყობინებენ, რომ ბულგარეთი რუმინიაზე მოულოდნელ (?) თავდასხმისათვის ემზადებაო. რუმნიის საზღვრებისაკენ ბულგარეთიდან აუარებელ სამხედრო მასალას გზავნიან.

გერმანელები სტამბოლში

„ტაიმსის“ გადმოცემით სტამბოლის ფოსტა-ტელეგრაფი ახლა გერმანელების სრულ კონტროლ ქვეშ მოქმედებს.

ქრონიკა

რუსეთი.

თანაგრძნობის გამოცხადება.

ქალაქების კავშირმა დეპუტაცია აირჩია, რომელიც ყოფილ სამხედრო მინისტრს, პოლივანოვს თანაგრძნობას გამოუცხადებს და მისი ადგილიდან გადაყენების გამო მწუხარებას გამოსთქვამს.

შუამდგომლობა.

მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის საზოგადოებამ გამგეობას მიანდო, რომ მან სათათბიროს თავმჯდომარეს, როძიანკოს თხოვნით მიმართოს, რათა ს. რ. მიაკოტინისა და გ[illegible]ის გასათავისუფლებლათ შესაფერი ზომები იქნას მიღებული

მიტროპოლიტი პიტირიმი.

როგორც პეტროგრადიდან იუწყებიან, საქართველოს ყოფილი ეგზარხოსი, მიტროპოლიტი პიტირიმი შუამდგომლობს, რომ ის სახელ. საბჭოს წევრათაც იქნეს დანიშნული და იმავე დროს მიტროპოლიტათაც დარჩეს.

საიმპერიო სასურსათო კომიტეტი.

მოსკოვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან სასურსათო კრიზისის გამო სარკვევათ გახსნილი თათბირი დასრულდა. თათბირის აზრით კრიზისის თავიდან ასაშორებლათ აუცილებლათ საჭიროა საზოგადოებრივი ძალებიდან ერთი ცენტრალური ორგანიზაცია დაარსდეს, რომელსაც ყველა კუთხეებში თავის განყოფილებები ექნება გამართული. ეს რეზოლუცია თათბირმა მიიღო და თან პროტესტი განაცხადა უსაფუძვლო ბრალდების წინააღმდეგ, რასაც ებრაელებს დებენ. თათბირმა [illegible] სასურსათო კომიტეტში სამი დელეგატი აირჩია.

ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო“ კვლავ უბრუნდება ივერიის ეკლესიის საკითხს და ბ ნი სპ. კედია, სხვათა შორის, სწერს:

„ყველამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ საქარ ეკლესიის საკითხი მთელი ერის საკითხია, რომ შეუძლებელია ეს ძვირფასი განძი რომელიმე ერთ წოდებას მიუგდოთ და მას დავაკისროთ მისი დაცვა და მოვლა პატრონობა. დღევანდელი საერთო მდგომარეობა და კერძოდ დიდი საეკლესიო რეფორმების სამზადისი, რომელსაც უწმიდესი სინოდი უკვე შეუდგა, ჩვენთვის არა ჩვეულებრივად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის რომ განახლებულის ძალით და ენერგიით ისევ ისე ვიშუამდგომლოთ, სათანადო დეპუტაციის საშუალებით, ჯერ აქ, მის იმპერატორებით უმაღლესობის და მერე, პეტროგრადში მის იმპერატორებით უდიდებულესობის წინაშე, რათა მან ერთის უმაღლესის ბრძანებით კვლავ შემოსოს უფლებით დღეს დაქვრივებული ივერიის მართლმადიდებელი ეკლესია, რუსეთის ეკლესიის უფროსი და,—და ამითვე აღადგინოს მსოფლიო საეკლესიო კრების დარღვეული უფლება და პრესტიჟი.

სამღვდელოებამ და თავად აზნაურობამ მათ ბანი უნდა მისცენ ქართულ ქალაქების თვით მართველობებმაც; ერთის სიტყვით საქართველოს ეკლესიის შესახებ მთელს ქართველობაში ერთი აზრი და ერთი გრძნობა უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს. ნუ თუ ეკლესია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის მთელ სულიერ რელიგიურ სამყაროს ფლობდა დღეს იმად არ ღირს რომ ჩვენ ჩვენი პარტიული დოკტრინის პატარა ღმერთი ჩავაჩუმოთ და მოვუძღვნათ მას მაღალი შეგნება ვზადოთ, უანგარო ერთგული მოვალეობისას?!

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

საფოსტო სატელეგრაფო სამმართველოსაგან. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანება გამოსცა, რომ მომავალ სააღდგომო დღესასწაულზე და **მათ უდიდებულესობის** დაბადების დღეს, 6 მაისს, დეპეშებით ნ[illegible] ლოცავენ, რადგან ეს დიდ [illegible] იწვევსო. თანახმად ხელმწიფის ბრძ[illegible] საფოსტო სატელ[illegible] საყოველთაოდ ა[illegible] დეპეშები აღარ მიიღება.

◆ ქუთაისის ახალი გუბერნატორი კ იუნკერი გრაფი გუდოვიჩი გარეშე მ ვნელებს იღებს: დილის 10—12 ს მდე: ორშაბათობით, ოთხშაბათობი შაბათობით. სამსახურის გამო კი - ყო დღე 10—12 საათამდი.

◆ ქ ნ კატო მიქელაძის ასულს გან ხვა აქვს თავისი ლექცია ქალთა უ ბაზე, რომელიც ამას წინათ ქუთა წაიკითხა, სხვადასხვა დაბაში წაიკით

◆ ქუთაისის გუბერნატორს ატყ ნებენ, რომ ამ დღეებში გაგრას პრ ოლდენბურგი ესტუმრებაო.

◆ მეფის ნაცვლის კანცელარია ყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, სოხუმის ქალაქის თვითმართველობას ხოვოს დამატებითი ცნობები, რომე შეეხება ქ. სოხუმში სახელმწიფო ბ ოპერაციების დაარსებას.

◆ სენაკის მაზრის უფროსი უკვე უდგა ამავე მაზრაში ტყავეულების ვიზიციის მოხდენას.

◆ მდგომარე წლის იანვრიდან, მარტამდე ქუთაისის უფასო სამკურნა ში გაუშინჯავთ 1506 შინაგან სნე ბათა ავადმყოფი, 2768 ქირურგიულ ქალთა სნეულებით 180, სულ ავადმყოფი.

◆ **პურის საკითხი ქუთაისში.** გორც ვსწერდით, მთავრობის განკა ლებით სანოვაგის შემოტანა შეიძლებ მხოლოდ ზღვით. რადგანაც ამ ჟამად უძლებელი გახდა' ზღვით სანოვაგის მოტანა ამბობენ ფქვილით მო რეები მოსალოდნელია, რომ პ ფქვილი ამ ერთ კვირაში გამოილ საჭიროა დაუყონებლივ მიექცეს ამ გ მოებას ჯეროვანი ყურადღება, რომ ქ ქის მცხოვრებნი უპუროდ დ

◆ ქუთაისის ქუჩებში გამოაკრ კასიის მეფის ნაცვლის მოწოდება სიის ერებისადმი, რომ მიიღონ მონ ლეობა სახელმწიფოს შინაგანი სესხის სანაღდებლათ.

◆ დ. ბორჯომში სამკურნალო წყლ შენობას ცეცხლი გაუჩნდა და შენ ერთი ნაწილი გაანადგურა. ზარა 200,000 მან. აღემატება. სამხედ სათადარიგო მასალები არ დაუზ ლებია.

◆ ვლადივოსტოკში დაარსდა

სამი ჟურნალი.

1) „**ხმები**“—გაზ. „შრომის“ თანამშრომელთა გამოცემა.

(შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 319.)

VIII

სიტყვა-კაზმულ მწერლობის უაღრესი და უშესანიშნავესი თვისება ის არის, რომ იგი თავისუფალია თავის შემოქმედებაში იგი არ ემორჩილება ერთსახეობას, შაბლონს და რამდენადაც ესა თუ ის მწერალი ნიჭიერია, იმდენად მისი შემონაქმედი მრავალფეროვანი, ლაღი და ზეაღმტაცია.

სიტყვა-კაზმულობა მეცნიერული ნაწარმოები როდია, რომ მას თავისი განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდეს კვლევა-ძიებისა. სიტყვა-კაზმულობა მხოლოდ სიბრძნისაა ერთი დარგი და ხელოვანი ამ სიბრძნეს როგორც უნდა, ისე გამოსთქვამს. ლექსი თუ მოთხრობა, პოემა თუ რომანი ერთი და იმავე მწერლისა შეიძლება ერთგვარად ლამაზი იყოს, თუ იგი ნაყოფია ზეგარდმო-მადლით ცხებული ნიჭისა.

ეს „ნიჭი“ რაღაა?

რუსეთის ცნობილ მწერლის მაქსიმე გორკის სიტყვით რომ ვსთქვათ: ,,ნიჭია—პათოსი, ამაღლებული, აღფრთოვანებული გრძნობა სიყვარულისა, მრისხანებისა, სიბრალულისა, სიძულვილისა, სევდა-მწუხარებისა; ნიჭია თავგანწირული მისწრაფება ადამიანისა ბრძოლისადმი, თავისთავისა და კაცთა დასაცავად ბუნებისა თუ სოციალურ (საზოგადოებრივ) ბოროტ ძალებისაგან“.

თუ ნაწარმოებში არ გამოკრთის სწორედ ეს აღფრთოვანებული გრძნობა, თუ ნაწარმოებმა არ აღანთო თქვენს გულში ცეცხლი ბოროტების დასაწვავად და არ მოგწყვიტათ თვალიდან ცრემლი სიბრალულისა დაკარგულ ადამიანობისა გამო, ასეთი ნაწარმოები ნაყოფი იქნება მხოლოდ ხელოსნობისა—შრომა-მეცადინეობისა—და არა ნაყოფი ხელოვნებისა—ე. ი. მწერლის ბუნებაში დაგუბებულ განცდათა უცაბედ შადრევანობისა.

ხომ გინახავთ ისეთი დამკვრელი როიალისა, რომ მის ტექნიკას, ხელების თამაშს კლავიშებზე არავითარი ნაკლი არა აქვს, მაგრამ მისგან აღძრულ თვლებიდან კი არ გამოკრთის ხოლმე ისეთი ხმები, ისეთი ჰანგები, რომელიც გავიწყებდესთ წუთებს თქვენის ყოფნისას და ოცნების სამეფოში გადაჰყავდესთ?

საქმე მარტო ტექნიკა, გარეგანი ფორმა კი არ არის, გარეგნულ სილამაზესთან ერთად საქმე ჰანგია, საქმე სულია, რომელი ჰანგიცა და რომელი სულიც აშორებს თქვენ არსებას მიწიერობას და ამაღლებას მას ღვთაებამდე.

ასეთი თვისების ნაწარმოები ისეთივე იშვიათია, როგორც თეთრი ყვავი, ან შავი ალმასი! კიდეც იმიტომ არის, რომ ჩვეულებრივი მკითხველი შაბლონითაც კმაყოფილდება და სრულიად უბრალო დამკვრელს თავის თავი კომპოზიტორი ჰგონია ხოლმე! კიდეც იმიტომ არის, რომ ყველა ადვილად ჰკიდებს ხელს კალამს და ერთი ორი ლექსისა თუ მოთხრობის დამწერს თავისი თავი მართლაც მწერლად მიაჩნია.

კრიტიკა მოვალეა გაარჩიოს ხელოსანი ხელოვანისაგან და თითოეულ მწერალს უჩვენოს თავისი შესაფერი ადგილი. მაგრამ ამისათვის თვით კრიტიკოსი უნდა იყოს უმაღლესი ხელოვანი, უმაღლესი შემოქმედი, თორემ ხელში შეგვრჩება მხოლოდ იმისთანა მწერლები და იმისთანა კრიტიკოსები, რომელთა რიცხვიც ჩვენში ,,ლეგიონია“.

მე რამდენჯერმე გავიმეორე, რომ მწერალი ნაყოფია მეთქი იმ სულიერ და ხორციელ განწყობილებისა, რომელიც არსებობს ამ მწერლის მშობელ ერში. ქართველი მწერალიც, რამდენიც უნდა გაიჭიმოს იგი, ფეხის ცერებზედაც რომ შედგეს, თავის ერის სულთასწრაფვას ვერ გასცილდება და მაშასადამე, ყოველივე მეტიჩრობა და მოდერნიზმ-ფუტურიზმი ჩვენში, ან ლიტერატურულ თავხედობად უნდა ჩაითვალოს და ან გადაგვარების გზაზე შედგომად. ის კრიტიკოსები კი, რომელნიც ასეთ მოვლენას ,,ახალ მიმართულებათ“ აღიარებენ, ან თვითონ არ ესმისთ რას ამბობენ და რას ამტკიცებენ, ან განგებ იბრმავებენ თვალებს, რომ ბევრი პატვისმცემელი გაიჩინონ და სულელთა შორის ყველაზე ჭკვიანნი გამოჩნდენ.

ჩვენში, ქართველებში, ხშირად ასეც ხდება. რამდენი უნიჭო მწერალია განდიდებული და რამდენი ახირებული „კრიტიკოსი“ ქება დიდებით იხსენიებს მათ!

საკმარისია თვალი გადაავლოთ ჩვენი წიგნების ბაზარს, საკმარისია გადაათვალიეროთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, რომ ამაში დარწმუნდეთ.

მე მგონია, ათს ქართველში ცხრა უეჭველად პოეტობს და ამ ცხრაში რვა მაინც ჩინებულ მწერლად არის აღსარებული. ჩვენში ისევე ადვილია მწერლის სახელის დამსახურება, როგორც თითოეული კაცის უსამართლოდ გალანძღვა სამწერლო ტიტლოვებსა და „ჩინ ორდენებს“ ისევ გულ უხვად ვარიგებთ, როგორც ჩვენი მეფეები ძველად თავად აზნაურობის ხარისხს არიგებდენ ხოლმე!..

ჭეშმარიტად, საჭიროა ერთი ქართველი ბელინსკი, რომ გაცხრილოს, გაცხავოს ჩვენი მწერლობა, წმინდა ხვავის და საგროვებლად, მაგრამ ვაი ის არის, რომ ქართველი ბელინსკის წარმოშობისათვის ქართველ ერს ჯერ ჯერობით საკმაო წელი არა აქვს!.

ამის ძირითადი მიზეზები ჩემს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ და აქ აღარ გავიმეორებ. ზედმეტ მიზეზად კი აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ის ჯგუფური თავდავიწყება, რომელიც ყოველივე სამართლიანობას სპობს ჩვენში და ყოველივე ალმაფრენას ფრთას აკვეცს.

ვსთქვათ, გაგიწყრათ ღმერთი და არ ეკუთვნით ამა თუ იმ გაბატონებულ ჯგუფს. ამ ჯგუფის უკანასკნელი ფინიაც კი გეფხორება და ისე გიყეფთ, როგორც ნაგაზი. „ჯგუფისტებიც“ დგანან და სიცილს გაყრიან. იგი აღარ კითხულობს ვინა ხარ შენ და ან რის გაკეთება შეგიძლია. თავიანთი „დამქაში“ ურჩევნიათ შენს „ილიას“ და თავიანთი ყოვლად უნიჭო მჯღაბნელ—პლაგიატორი შენს—აკაკის!

უყურებს ქვეყნის ნამდვილი ჭირისუფალი, ის ჭირისუფალი, რომელსაც სწამს მხოლოდ ერთი ჯგუფი—ქართველობა და მხოლოდ ერთი პარტია—თავისუფალი საქართველო—და სიმწარით ენას იკვნეტს, სირცხვილით ცეცხლი ეკიდება გულ-ღვიძლზე, როცა ხედავს რომ ტაშს უკვრენ არარაობას და ადიდებენ ფუქსავატობას! ტყუილად კი არა სთქვა დიდმა აკაკიმ.

„დღევანდელი გმირი არის
გუშინდელი თხაპარიაო'“

ასეა ცხოვრებაში, ასეა, საუბედუროდ, მწერლობაშიაც!

თუ ნიჭი—როგორც ზევით მოგახსენეთ არის „თავგანწირული მისწრაფება ბრძოლისაკენ კაცთა დასაცავად ბუნებისა და სოციალურ ბოროტ ძალებისაგან“, (ჩემდა თავად სხვა განმარტება ნიჭისა არც მწამს), მაშინ ისეთი მწერალი თუ მგოსანი, რომელიც ემსახურება მხოლოდ სქესობრივ გრძნობის გაღიზიანებასა და პორნოგრაფიას, (ეს ხომ ბოროტებაა!) რაც უნდა ვირტუოზი იყოს ლექსისა და მოთხრობის წერაში, მაინც დასაგმობია, ვინაიდან ასეთი მწერალი ძალა უნებურად რყვნის უიმისოდაც დაჩაგრულსა და დაბეჩავებულ ახალგაზრდობას—ქალსა, თუ ვაჟსა.

ასეთს მწერალს ფხიზელმა და ჩვენის ქვეყნის უკეთესის მომავლის მოტრფიალე კრიტიკამ უნდა უთხრას:

—შენთვის ღმერთს მოუცია ხელოვნება სიტყვისა, მაგრამ რა კი ბოროტად ხმარობ ამ ნიჭს, განდევნილ უნდა იყო, ვიდრე ჰანგს არ შეიცვლი და პიროვ ქვეყნაგრძობათა გაღმერთებას თავს დაანებებო.

მაგრამ განა ასეა ჩვენში? არა! პი ქით! ასეთს მწერალ-მგოსანს ჩვენი „კ ტიკოსები“ გუნდრუკს უკმევენ ხოლ უარესად აგიჟებენ და უარესად აქეზ იმ დროს, როდესაც ვაჟა, ცახელი, რუხაძე და სხვა მათი ჰანგის მგოსნ (დიდი თუ პატარა) ჩრდილში დგან პორნოგრაფისტებს ქალაქ-ქალაქ ატარ ბენ და ხელით ატარებენ:—ღვთაებრი მისი ლექსთ-წყობაო!

მერე როდის არა ყოფილა ღვთაებრივი ქ თული ლექსთწყობა, ქართული ქართული პირველი თუ მრავალ თქმ და ღირსეულნი ნაწარმოებნი!

აბა გადაიკითხეთ ჯერ კიდევ მე საუკუნის ლიტერატურულნი ნაშთნი, დაიკითხეთ ქართულად ნათარგმნი ნები მოსესი (დაბადება, ბიბლია). გა იკითხეთ ქართული სახარება და ნამე ვად დავითნი, გადაიკითხეთ ქართუ მარხვანი, პარაკლიტონი, სადღესასწ ლონი, ტროპარ—კონდაკები, წესი დერძისა, გადაიკითხეთ ვეფხის-ტყაოსან ვისრამიანი, ყარამანიანი, ქილა და ნაწერები არჩილისა და თეიმურაზი საბა სულხან ორბელიანისა და გურ შვილისა, ბესიკისა და ალექსანდრე ჭავ ვაძისა და სულქვეშა სთქვით მიაგ ენა დღევანდელის მწერლებისა ამ ნაწ მოებთა და მწერლების ენას? განა ჩვ დღევანდელი ენა ნარცხიც კი არის ენისა? განა მეათასედათაც კი შეგვიძ დღევანდელ მწერლებს შეგრძნობა, ცნება, შეთვისება და გამოთქმა იმ ფი ლოსოფიურ თუ ესტეტიურ განცდა რომლებიც ჩემგან ჩამოთვლილ ნაწარ მოებებშია გაბნეული, „ვით მარგალი ობოლი?“ *)

პირიქით, განა ჩვენი დღევანდელი მწე ლები დამახინჯებული ენით არა ვსწერ

ლღის დამზადებელი ქარხანა

◆ გაზეთების კანტორა „იმერეთმა მი- ო განათლება„ მარტის ნომერი ხელის წერლებისათვის და გასაყიდათ.

◆ ვოლგო-კამის ბანკის ქუთაისის განყოფილებამ, ქალაქის გამგეობას შეატყო ბა მთავარი გამგეობის სურვილი, რომ ლაქის სასურსათო ორგანიზაციის მოსა ობათ სესხათ მიეცეს 50,000 მანეთი ელმ ბანკის გარანტიით.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ოთისას შეატყობინოს: ეძლევა თუ არა მართველობის მოსამსახურეთ ჯამაგირი, მელიც მობილიზაციის დროს გაიწვიეს რში.

◆ ქალაქის გამგეობა სთხოვს ქალ. საავადმყოფოს გამგე ექიმს შეატყობინოს ნობები: ა) რამდენი ავადმყოფი ინახე და ქალაქის ხარჯით, ბ) საწოლისა და) ავადმყოფთა რაოდენობა 1913 წლის მავლობაში.

◆ კვირას, 3 აპრილს ქართულ თეატრში მოხდება ქუთაისის ქალთა საზოგადოების წევრთა საზ. კრება. ამ კრებაზე არჩევია კულტურულ კავშირში გასაგზავნათ სამი წარმომადგენელი.

◆ ქ-მა სოფიო დიმიტრის ასულმა საბაკარაშვილისამ, იტალიაში გარდაცვალებულის, მისი დის, ნადია დიმიტრის ასულის კანდელს ხსოვნის აღსანიშნავად, წლის ავეჯი შესწირა ქ. შ. წ. კ გამავრცელებელ საზოგადოების ფოთის განყოფილებას 5 მან., რომელიც უკვე მიიღო გამგეობის მოლარემ იოსებ კობრეიძემ.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ხუთი თვით დააჯარიმა მედუქნე ვასილ ივანეს ძე კუპრაშვილი ჯარის კაცზე ღვინის გაყიდვისათვის

სოფლად

— ს. ლანჩის (ქუთაისის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს დაარსონ სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა „გრდემლი".

— ს. ხორშის (ზუგ. მაზ.) მცხოვრებმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე რომ ნება დართოს დაარსონ მოსამრეველი საზოგადოება „დამაკვირდი".

ლექცია სოფლათ.

ინტელიგენცია ბლომათ. არის, შესაძლოა ამ საკითხზე ხშირათ ისაუბროს და შესაფერი წარმოდგენა იქონიოს. მაგრამ რაქნას ჩვენმა გლეხმა, რომელსაც არა ნაკლებ ინტელიგენტისა, სწყურია ამ საკითხების გარკვევა, მაგრამ არ ძალუძს მას, უსწავლელობის გამო. აი, სწორეთ აქ უნდა გამოვიდეს ჩვენი ინტელიგენცია და აუხსნას გლეხს ყოველივე ის, რაც ესაჭიროება მას. თუ დღემდის ხალხი გულგრილათ შეჩერებოდა ინტელიგენციის როლს—მის გავლენას მასზე, დღეს სულ სხვას ვხედავთ, აბა მიბრძანდით სოფლათ, დაიწყეთ საუბარი დღევანდელ მდგომარეობაზე და დაინახავთ თუ როგორი მოწიწებით დაგიგდოს გლეხმა ყური, ქუჩაზეც რომ გაიაროთ და იქ გამართოთ საუბარი გამვლელ—გამომვლელი შეჩერდება და წამის შემდეგ გლეხთა დიდი აუდიტორია დაგიგდებთ ყურს ყოველივე ეს ამტკიცებს, იმას რომ ხალხმა შეიგნო სწავლა-განათლების ნაყოფიერება აი, ამ დროს საჭიროა ჩვენი ინტელიგენციაც გაძოვიდეს სოფლად და ძმური ხელი გაუწოდოს მშრომელ გლეხობას

კარგი განზრახვაა ბ. გ. ხაინდრავასი, რომ იგი რამდენსამე ადგილს შორაპნის მაზრაში კითხულობს ლექციას შემდეგ თემაზე: ,,საერთაშორისო მსოფლიო ომი და საქართველოს ეკონომიური მიმოხილვა''. მე დავესწარი ამ ლექციას ჩხარში, 27 ამ თვეს დარბაზი, სადაც ლექცია უნდა წაკითხულიყო ხალხით გაივსო. ბევრი გულდაწყვეტილი, დაბრუნდა სახლში, დარბაზის სიპატარავის გამო. ლექცია შინაარსიანი გამოდგა.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ ბ. ლექტორს, რომ პირველი ნაწილი ლექციისა სავსე იყო მდაბიო ხალხისათვის გაუგებარი სიტყვებით, რამაც რასაკვირველია, გაუგებრობა გამოიწვია, მაგრამ მეორე ნაწილი ლექციისა, განსაკუთრებით, სადაც ჩვენ მეურნეობას შეეხო ლექტორი, გარკვევით და ლამაზათ იყო გაშუქებული ლექციის მეორე ნაწილმა ხალხზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლექტორი ტაშის ცემით და ყვავილებით დააჯილდოვეს.

მდაბიო ენით დაწერილი ასეთი შინაარსის ლექციები სოფლათ დიდ სარგებლობას მოუტანს მშრომელ ხალხს. საჭიროა ხშირათ იკითხებოდეს ხოლმე სხვადასხვა დაბასა და სოფლებში მცოდნე და ნასწავლ პირებისაგან.

ს

საყურადღებო პოლემიკა

წარსული წლის დამლევს კარლ კაუცკის ჟურნალში ,,ნოიე ცაიტში'' ცნობილი გერმანელის სლავიანოფობის პუბლიცისტის როჰრბახის ბროშურის—,,რუსეთი და ჩვენ''—წინააღმდეგ მოთავსებული იყო მცირე შენიშვნა. როჰრბახის ბროშურის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი, მისი აზრით, ყველა მის მეზობელ სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და მთლიანობას ემუქრება.

რუსული საფრთხის მთავარი წყარო, ავტორის აზრით, განსვენებულ სტოლიპინის აგრარულ პოლიტიკაში მდგომარეობს პოლიტიკას როჰრბახი ,,რუსეთის პოლიტიკის'' უძლიერეს აქტათ სთვლის. ალექსანდრე მეორის მიერ, ბატონყმობის გაუქმების დროიდან სტოლიპინის რეფორმაათ ამბობს როჰრბახი, რუსეთს ძალას აძლევს, რომ მან მთელი მსოფლიო დაიპყროს. ,,ვინაიდან ამ პოლიტიკამ გლეხ კაცი პანსლავური დამპყრობის პოლიტიკის მორჩილ იარაღათ გახდა. ასეთი საფრთხე რომ თავიდან აშორებულ იქნას, ამისთვის როჰრბახის აზრით, საჭიროა რუსეთის იმპერია მოისპოს.

საჭიროა რუსეთი ბალტიისა და შავ ზღვებს მოესწყვიტოს, საჭიროა მას რკინისა და ქვა-ნახშირის მადნები და ყველა ნაყოფიერი მიწები სულ ერთნიანათ წავართვათ. ეს კი შესაძლებელია შევასრულოთ იმით, რომ ,,მოსკოვის სახელმწიფოს'' გარშემო ,,ახალი სახელმწიფოებიბიუფერები'' შევქმნათ.

ჟურნალ ,,ნოიე ცაიტის'' შენიშვნას ავტორი, რომელიც თავის პსევდონიმს მხოლოდ ორი ასოთი აღნიშნავს—ბდ.—როჰრბახის ასეთი მსჯელობა მსჯავრს სასტიკათ დასცინის. უპირველესათ ის როჰრბახს მეცნიერულ არგუმენტებისადმი დიდ უყურადღებობას უკიჟინებს. გერმანიის ახალშენების შეძენისადმი მიდრეკილებას როჰრბახი გერმანიის სამრეწველო განვითარებით ხსნის; მაგრამ როცა მას უნდა თავისი თანამემამულენი რუსეთის დაპყრობითი საფრთხეს გადაარჩინოს, მაშინ რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის ასახსნელათ ამბობს, რომ ,,რუსეთი გლეხკაცობის სახელმწიფოთ გადაქცევის გზაზე დგასო'' და, მისი სიტყვით, „აშკარავდება, რომ ასეთი სახელმწიფოსათვის ,,ახალი ქვეყნებისა და ადგილების'' დაპყრობა საჭირო ხდება. როჰრბახი აქ გამოსავალს მხოლოდ ბუფერული სახელმწიფოების დაარსებაში ხედავს. მაგრამ მას, როგორც სჩანს, ამ შემთხვევაში სულაც არ აინტერესებს კითხვა—ამბობს ბდ.—თუ რამდენათ ცხოველმყოფელი იქნებიან ეს სახელმწიფოები და რამდენათ შესძლებენ ისინი საერთიერთაშორისო კონფლიქტები თავიდან აიშორონ პირიქით, ახლათ დაარსებულ სახელმწიფოებს შორის კიდევ უფრო გამწვავდება კონფლიქტები, ვინაიდან იმათაც ახალი ადგილების შეძენადაპყრობა დასჭირდებათ.

გრაფი ანდრაში ამას წინათ სწერდა, რომ შუაგულ ევროპის ინტერესი სულაც არ მოითხოვს, რომ მის გვერდზე პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოები არსებობდენ, განსაკუთრებით ,,დამოუკიდებელი პოლონეთი'' და უკრაინა, ვინაიდან მაშინ ეს სახელმწიფოები მოითხოვენ, რომ მას შეუერთდეს პრუსიის მიერ დასაკუთრებული პოლონეთი და ავსტრიის ნაწილი გალიცია.

ამიტომაც არის, რომ ხსენებულ სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლები სწორედ ასეთი ახალი სახელმწიფოების დაარსების წინააღმდეგნი არიან შუაგულ ევროპაში. როჰრბახის დებულების დამცველად იმავე ჟურნალში სრულიად მოულოდნელათ გამოვიდა ავსტრიის ცნობილი ს. დ. პერენსტორფერი „რუსეთზე ხშირად ამბობენ, სწერს ავსტრიის ს. დ. ლიდერი, რომ „იგი უზარმაზარ კერპს წარმოადგენს, რომელიც თიხის ფეხებზე არის შეყენებული“ ამ თქმულების აზრი, ავსტრიის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთი ორიგინალ მთელს რასმე კი არ წარმოადგენს, არამედ იგი მხოლოდ უბრალო კონგლომერატს შეიცავს, რომელიც მხოლოდ ძალით, ძალმომრეობით არის გაერთიანებული. ავტორის აზრით, რუსეთის სახელმწიფოს ასეთ ხასიათს მომავალი ნამდვილი კონსტიტუციონური რეჟიმიც ვერ შესცვლის: იგი მხოლოდ სიმტკიცეს მისცემს ველიკორუსების ბურჟუაზიას და გლეხკაცობას, რომ თავისი უკიდურესი პატრიოტული—ნაციონალისტური სულის კვეთება განვითარებას უმაღლეს წერტილამდე აიყვანოს. თუნდაც, რომ ძირითადი პოლიტიკური ცვლილება მოხდეს რუსეთში, ეს მაინც ს. დ. უფლებას ხელში ვერ ჩაუგდებს, რომ შესაფერი რეფორმები მოახდინოს მოწინააღმდეგეები ხშირად ეუბნებიან, რომ რუსეთის რეაქციის ნავსაყუდრი პრუსიის აბსოლუტიზმიაო. „საკმაოა პრუსია დაიქცეს, განაგრძობს, რომ ეს რუსეთის განთავისუფლებას ავტომატიურათ გამოიწვევს. განა შეიძლება გერმანიაში ისეთი ს. დ. იყოს რომ ეს სასაცილო აზრი სერიოზულათ მიიღოს! კითხულობს პერნოსტორფერი და უპასუხებს, რომ „ყოველ შემთხვევაში ასეთი ს. დ. ავსტრიაში მაინც არ მოიპოვებიანო.

(დასასრული შემდეგ)

მუშათა შორის.

კონფლიქტი

,,მხატვრულ ბეჭდვითი ...ბის მუშებსა და სტამბის ადმინისტრაციის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გამო, რაიცა სიძვირისაგან გამოწვეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას შეიცავდა, 24 მარტიდან აღარ გამოდის გაზეთი „გოლოსი" და „მალენკაია გაზეტა", აგრეთვე „ნოვაია მალენკაია გაზეტაც"

მუშები და მთავრობა.

სამინისტროს უკანასკნელი ზომები, რომლის დანიშნულებაა მუშებსა და დამქირავებელთა შორის დამოკიდებულება მოაწესრიგოს, ამ ბოლო ხანებში როგორღაც ახირებულად ტარდება.

როგორც ვიცით კითხვები, რომლებიც მინიმალურ შემრიგებელ კამერების დაარსებას, სამუშაო ხელფასის დაწესებას და მუშათა წრეებში ანკეტის მოწყობას შეეხებოდა, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფისაგან იყო აღძრული მუშათა ჯგუფი იმასაც მისწვდა, რომ მის მიერ აღძრული კითხვები სამხედრო სამრეწველო კომიტეტების საზოგადო ყრილობამ განიხილა და დამაკმაყოფილებელი რეზოლუციებიც გამოიტანა. ეს რეზოლუციები განსახორციელებლათ გადაეცა ჯერ საგანგებო სათათბიროს, მერე ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კომისიებს კომისიებმა კი თავიანთ თათბირზე მონაწილეობის მისაღებათ მხოლოდ დამქირავებელნი მიიწვიეს, მუშებთან კი ტელეფონის საშუალებით გამართეს მოლაპარაკება: მათი წარმომადგენლები თათბირზე არ დაისწრეს. ასეთი მანერის შედეგი ის იყო, რომ ყველა ზემოთ დასახელებული კითხვები მუშებისთვის არა სასურველად გადაწყდა.

პეტროგრადის მუშათა კასები.

პეტროგრადის მუშათა საავადმყოფო კასების მდგომარეობა ვერაა სასურველ დონეზე დაყენებული. ცალკე კასები და ზღვევის საქმეთა საბჭოს მუშათა ჯგუფს მიმართვენ, რომ მან ქალაქის კასების საზოგადო კრება მოიწვიოს, რათა მუშები საბჭოის მუშათა ჯგუფის მოღვაწეობას გაეცნონ. ეს წინადადება მუშების მხრით იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ამ ბოლო დროს ზემოხსენებულ ჯგუფის მოქმედებაზე, როგორღაც არაფერი ისმის და როგორც სჩანს ეს ჯგუფი დამზღვევ საკრებულოში მუშების არჩევნებისთვის მზადებას აღარც კი ჰფიქრობს.

ენაა ასეთი სიტყვები, როგორც მაღლითად, „ცეცხლეური", „მარადიული", ამური' „შხამური" „ირემული" ,,კნაწანუწი", და სხვა ამისთანა სისულელე?

მაგრამ აკი მოგახსენეთ, ჩვენ, ქართველები, ავცდით მეტქი მშობლიურ ხის განვითარებისას და ამიტომ დაკინდა კიდეც ჩვენი გულისთქმაც და ჩვენი ნაც. და იმის მაგივრად, რომ გავაცოცხლოთ გავახალხოსნოთ უუძვირფასესი და უმდიდრესი ჩვენი ენა მთაწმინდელისა და შოთასი, ბატონ გრ. რობაქის ბუნდოვანი მჭევრ-მეტყველება უმაღლესი სასწაული გვგონია და მისგან ჩირთულად ყურით გამოთრეული „სოლოვიოვ—ბერდიაევ—მერეჟკოვსკის განდა—ღმერთის ძიება მისტიციზმი ფილოსოფიის უკანასკნელ სიტყვად გვეჩვენება.

ჩვენ ვივიწყებთ მთაწმინდელ—შოთაველ—ჩახრუხაძე - არჩილ თეიმურაზურამიშვილ - ბესიკ-ჭავჭავაძეებს—აკაკიცხელებს და ბ ნ გრიშაშვილ—ოლო—მაოლოების შესახებ კი გაიძახით:

— ახალი ლექსი, ახალი მიმართულება შექმნესო?

რას ნიშნავს ეს: ჩვენ კრიტიკოსთა უვიცობას, თუ მთელი ქართველობის გადაგვარებას?

განა სირცხვილი და დამცირება არ არის, რომ თურაშაულის პატრონი ტყეში უნდელს დაეძებდეს?

აი, რა მიკლავს გულს, თორემ ღმერთმა ხომ იცის, არავითარი სიკეთე არა მსურს არც რობაქიძეებისა და არც გრიშაშვილ - პაოლოებისათვის. პირიქით, მე მსურს, მე მწყურია, მე მენატრება, რომ ყველა ნიჭიერი ქართველი შესდგეს მშობლიურ გზაზე და თავისი ნიჭი მოიხმაროს არა „ყალბი ტაშისა და კოცნის" მოსაწყვეტად, არამედ ხალხის გამოსაფხიზლებლათა და „ბუნებისა თუ სოციალურ ბოროტ ძალთა" დასათრგუნავათ.

დღეს კი უნიჭიერესნი ჩვენში ბოროტად ხმარობენ თავის ნიჭს და სარგებლობენ რა ჩვენი ხალხის საერთო უმეცრებით, საერთო გზა აბნეულობით, არახუნებენ რაც ენაზე მოადგებათ, ხოლო მათ მოტრფიალე კრიტიკოსებს კი ყველა ეს უმაღლესს ფილოსოფიათა და ესტეთიურ მცნებათ გამოაქვთ!...

ვაი ჩვენ დაკნინებასა და დადედაბრობასა! ..

როგორც ყველგან, ისე ჩვენშიაც საზოგადოება კლასებად არის დაყოფილი, მაგრამ ეს კლასები ისე არ არიან ერთმანეთზე დაშორებულნი, როგორც ამას გვიქადაგებენ „მესამე დასელები" და ხან ხან ფედერალისტებიც.

ვხედავთ—რა კლასთა ბრძოლას კაპიტალისტურ ქვეყნებში, მე ვამტკიცებ, რომ ასეთი ბრძოლა ჯერ ჩვენში არ არსებობს, ჩვენი ცხოვრების პირობები ისეთი არ არის, რომ ერთმანეთს თავ-პირი დავამტვრიოთ და ჩვენი პირადი გულისთქმა ხალხს, მასას თავზე მოვახვიოთ.

კიდეც ეს არის მიზეზი, რომ არც ერთს ჩვენში ,,ცნობილ მიმართულების მოძღვრებას. ქართველი ხალხის უმრავლესობა არ იზიარებს. არც ერთ ჯგუფს არა ჰყავს ქართველთა უმრავლესობა თავის ჯარში

სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ დასელებს შედარებით მჭიდრო ორგანიზაცია აქვთ, მაგრამ მათ პარტიაში ისეთი ელემენტები „ეწერებიან" რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ რა იმ მოძღვრებასთან, რომელსაც ჩვენი დასელები აღიარებენ და ნამდვილად. რომ ესმოდეთ ეს მოძღვრება, იმ წუთშივე ჩამოშორდებოდენ მას (მაგ. გლეხები, ნოქრები, წვრილი მესაკუთრენი, მოხელეები და სხვადასხვა.)

ნაკლებად თავის თავს არც მეორე ჯგუფი ევრედ წოდებული ფედერალისტები—იტყუილებენ. მას შემდეგ, რაკი ამ ჯგუფმა ორ სკამზე ჯდომა დაიწყო, (ე. ი რაკი თავის ობიექტად გამოაცხადა ერიცა და სოციალიზმიც), ყალბია და სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა.

მართალია გვარწმუნებენ: დიდი ჯარი გვყავსო, მაგრამ ეს ნამდვილი არ არის!

ვინც იცნობს ჩვენ ქალაქსა და სოფელს, ის დაგვეთანხმება, რომ ბ-ნი ფედერალისტები „ცოტა არ იყოს" აზვიადებენ თავის მნიშვნელობას და მასაზე ბევრით და ბევრით უფრო დაშორებულნი არიან, ვიდრე ეს მათ ჰგონიათ.

განა ჯარი დაერქმევა ასსა, თუ გინდა ორიათასსა და სამიათას ხმას იქ, სადაც ორი და სამი მილიონი ხალხია, რომელი მილიონებიც პირდაღებული შეჰყურებს თავისს ბედს, თუმცა ადგილ ადგილ (დაბა ქალაქში) ორივე მიმართულება სამკვიდრო სასიცოცხლოდ იბრძვის?..

მე მგონია ხალხის ხელმძღვანელი იმ დასს დაერქმევა, რომელთანაც თვით ხალხი, მასა მიდის, თორემ ჩვენ რომ ვიყვიროთ „მე ვარ და ჩემი ნაბადიო", ეს მხოლოდ და მხოლოდ თავის მოტყუებაა.

მე არ ვეხები არც ერთი მიმართულების მოძღვრებას. მარქსი თუ ენგელსი, სპენსერი თუ ჰეგელი და სხვა სოციოლოგ-ფილოსოფოსს—მეცნიერები—გიჟები როდი იყვნენ, რომ ხალხს ცხოვრების კანონები დაუწერეს, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვიკითხოთ:

— რამდენად შეეფერება ეს კანონები ჩვენი ხალხის ცხოვრებას და რამდენად უწყობს საქართველოს დღევანდელი პირობები ხელს ამ კანონ იდეალების განხორციელებას?

აი საკითხი, რომელიც როგორც იტყვიან ხოლმე, სამწუხაროდ, „ჯერ კიდევ ღიაა" და რომლის გადაწყვეტასაც რასაკვირველია, მე ვერ ვიკისრებ,—მაგრამ როგორც ერთი წევრი საზოგადოებისა, როგორც ერთი მორჩილი შვილი ჩემის ქვეყნისა, როგორც ადამიანი, რომელსაც სიცოცხლე სწყურია, სიცოცხლე სამართლიანი და ვ ქკაცური, გულახდილად ვამბობ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის შეუფერებელი დასდასობა, რამდენადაც შეიძლება აფხიზლებდეს ქვეყანას, იმდენად ვნებს მის თვითშეგნებასა და სამართლიანობის დამყარებას, მე ვამბობ, რომ დროებითი გამარჯვება ამა თუ იმ ჯგუფისა რამდენადაც აკმაყოფილებს თავმოყვარეობასა თუ თვითმოყვარეობას ამა თუ იმ ჯგუფისას და აღიზიანებს ჟინიანობას მათის ლიდერებისას, იმდენად აკნინებს და აწვრილმანებს საერთო საქვეყნო საქმეს. მე ვამბობ რომ ჩვენი მასის, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი—მოწინავეთა—ორომტრიალი აძულებს და ურევს თვით მასას, და მოწინააღმდეგე მოწინააღმდეგეს დასაკლავად აღარ ზოგავს. მე ვამბობ, რომ რამდენადაც ამაყებს ასი თუ ორასი კენჭი დამარცხებულს, იმიტომ რომ გუნებაში თურმე ამის ნახევარსაც არ მოელოდა, იმდენად სასაცილოა „ლიდერი" ასეთი ჯგუფისა, როცა ბიბილო დასისხლიანებულ მამალივით გამოდგება და დაიყვირებს:

— მართალია დავმარცხდი, მაგრამ რადგან შავთან ერთად იმდენ თეთრს არ მოველოდი, რამდენიც მომივიდა, მაინც მე ვარ გამარჯვებულიო!

ან კი ვიმეორებ, რა გამარჯვებაა ის გამარჯვება, რომელი ჯგუფსაც უნდა ერგოს ხოლმე ის გამარჯვება, როცა კენჭების უმრავლესობა მისდის: ან ძალით, ან დაკვეთით, ან ხათრით, ან სამსახურის დაკარგვის შიშით, ან ჯიბრით, ან ემმაკობით, ან მოხერხებით.

გამარჯვებული მხოლოდ ის დასი იქნება, რომელთანაც მივა თვით ხალხი, თვით მასსა და ეტყვის: რადგანაც შენმა მოძღვრებამ თვალი ამიხილა, შემაერთა ჩემს თანამოძმესთან, მასწავლა სამართლიანობა და ადამიანობა, მე შენი ვარ, გამიძეხი წინ, მემსახურე და გემსახურებით!

ასეთს დასს კი შეჰქმნის მხოლოდ ქვეყნის ეკონომიური ამაღლება, პოლიტიკური თავისუფლება, შეგნება, სამართლიანობა, სწავლა-ცოდნა, განათლება, კულტუროსნობა. პირადი ინტერესების დავიწყება, დათრგუნვა შეერთებული ძალით სოციალურ პირობათაგან გამოწვეულ ბოროტებისა და ხალხის, მთელის ერის გონება ზნეობის ამაღლება.

მომეცით ასეთი მოძღვრების მქადაგებელნი და შეგიწირეთ თითოეულს სიცოცხლე!

მერე ვინ უნდა შექმნას ასეთი ნიადაგი? ასეთ ნიადაგს ჰქმნის ერის ცოცხალი ძალთა შეერთება, ერის გენიოსობა და ამ გენიოსობის ნაპერწკლები—ნიჭიერი მწერალ-მებრძოლნი, მქადაგებელნი არა პარტიული ცბიერობისა და უპირატესობისა, მქადაგებელნი არა შინ-ჩემობისა და პირობების დამცირებისა, არამედ მქადაგებელნი ძმობა-ერთობისა და სიყვარულისა.

ასეთ ნიადაგს ჰქმნის კრიტიკა, კრიტიკა მიუდგომელი და ბროლივით სპეტაკი, კრიტიკა დაუნდობელი ყოველივე ბოროტებისა და სასტიკი მქადაგებელი სამართლიანობისა, კრიტიკა ამდებმდებე ცხოვრების ყოველივე სისაძაგლისა და გამძიებელი შეგნებისა, სიკეთისა, სიწმინდისა და ადამიანურის აღორძინებისა.

როდის, როდის გვეღირსება, ჩემო ტანჯულო ქვეყანავ, ასეთი კრიტიკა?..

ია ეკალაძე

(შემდეგი იქნება)

---

*) ყველა ზემოდ დასახელებული ნაწარმოებნი ...ლდაბელთა მაქვს ჩამოთვლილი, ასე ვსთქვათ, ...ნუშოდ, და აღარც ახალ მწერლობის კორიფეებს ვახსენებ. **ავტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაიდარ ბეგ აბაშიძე.

„სახ ფურც“ ე კეჭელმაძე ცნობილ ქართველ მაჰმადიანის ჰაიდარ ბეგ აბაშიძის შესახებ სხვათა შორის სწერს:

ჩვენი ახალგაზრდა მოღვაწე, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე.

„თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ მან პირველმა, ქართველ მუსულმანებიდან, თავგამოდებით, ღრმად და მკაფიოდ დააყენა საკითხი შეერთებისა გათიშულ ძმების და ხიდად გაედო იმ უფსკრულს, რომელიც ჩვენ გვაშორებდა.

უფრო იმიტომ არის დასაფასებელი მისი მოღვაწეობა, რომ გამოუცდელმა და ფუფუნებაში აღზრდილმა თავისი პირადი ბედნიერება ანაცვალა თავის სამშობლოს. თვით ვარ მოწამე თუ როგორის სიმკაცრით გადაელობენ მშობლები წინ. თავის ხალხში კი გამარჯვებასაც ბევრი არ ეუბნებოდა; „გადელდა-გაგიაურდა“ და ვინ იცის რაებს არ ახერხებდენ ჰაიდარ-ბეგის გასაჩუმებლად.

მაგრამ ჰაიდარ ბეგმა ერთხელ და სამუდამოდ სთქვა მტკიცე სიტყვა:

„მე ქართველი ვარ და საქართველოს მთლიანობას შევსწირავ ჩემ პატარა ძალღონესო“

გავიდა დრო და ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ მომხრენი, თანამოაზრენი იპოვა ქართველ მუსულმანებშიც, მაგრამ მოწინააღმდეგე მაინც მეტი ჰყავდა.

ჰაიდარ ბეგი არწმუნებდა ქართველ მუსულმანებს, რომ სარწმუნოებას არავინ არ ეხებოდა, რომ თვით ყოველთვის იქნება პატიოსანი მორწმუნე მაჰმადისა და ამავე დროს ნამდვილი ქართველი ეროვნებით, სთხოვდა აგრეთვე ქართველ—ქრისტიანებს, რომ სარწმუნოებას ცუდად არ შეხედონ.

ასე გართული ამ დიდ საქმეში მედგრად იკაფავდა გზას ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე. უსათუოდ, მისმა შრომამ საკმაო ნაყოფი მოიტანა. ბევრი გამოჩნდა აჭარა ქობულეთში მისი თანამოაზრე და გაბედულად და სიხარულით გამოეხმაურენ ახალგაზრდა ბეგს.

მაგრამ საუბედუროდ დარჩნენ ხელის შემშლელნი, ორი სამი გაიძვერა, რომლებიც სცდილობენ ჰაიდარ-ბეგის და მისი თანამოაზრეთა ნდობა და პატივისცემა დასცენ ხალხში და ვინ უწყის რას არ მოჰორავენ.

ყველას კარგად მოეხსენება თუ რას ნიშნავს ცუდი ხმები და შერცხვენილი სახელი იმ ხალხში, რომლის მოწინავედ ხარ გამოსული.,.

ახლა ვიღაცებმა გაავრცელეს ხმა, ვითომც ბ. ჰაიდარ ბეგ აბაშიძე ქრისტიანად მოინათლაო, რადგანაც ქართველ ქრისტ. ქალზე დაქორწინდაო: ესე იგი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე თავის ხალხს მაგალითს აძლევს, თუ ქრისტიან ძმებს დაუახლოვდა უსათუოდ ბოლოს სჯულიც უნდა გამოიცვალოსო. ქართველ ქრისტ. შორისაც გავრცელდა ეს ხმა და ვიღაცამ პრესაშიც კინაღამ გამოაქვეყნა.

ყველა ეს სიცრუეა, მოჭორილი უღირს მოწინააღმდეგეთა მიერ, რომელნიც სიმართლემ დაამარცხა, სხვა გზით ვერას გახდენ და ეხლა გაიძვერობას მიჰყვეს ხელი ნუ შიშობთ, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს შეიძლება უფრო უღირსადაც გადაელობონ დასამარცხებლად, მაგრამ ის მაინც მტკიცე „ქართველი-მუსულმანი“ არის და იქნება ბოლომდის.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ინგლისის ასპარეზი

ლონდონი. 30 მარტი ოფიციალი. სენტელუასთან გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა. აქ ჩვენ შევინარჩუნეთ ბეგობები. დღეს მტერმა ვერმელთან ნაღმი ააფეთქა, რომელმაც ძველ ბეგობებს უმნიშვნელო ზიანი მიაყენა. საერთოდ მდგომარეობა არ შეცვლილა. ველსხატეს დასაპყრობათ მკაცრი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა ორივე მოპირდაპირეს შორის. საჰაერო ბრძოლის დროს ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჰაეროპლანები ჩამოჰყარეს. ხოლო ერთი ჩვენი ჰაეროპლანი მტრის ზარბაზანმა ჩამოაგდო.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 30 მარტი. ბრძოლის ველზე, აჯასა და სუგანოსთან, მტერმა საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა, მაგრამ ჩვენ საჩქაროდ ჩავაჩუმეთ ჩვენმა არტილერიამ ძლიერი ცეცხლი დაანთო ფორ-ლუტერნის ფორტთან ასტიკაში, სადაც მოპირდაპირეს დიდი ზარალი მივაყენეთ. იზონცოს ხაზზე გუშინ დიდი ბრძოლა ხდებოდა. მტრის რაზმი, რომელიც პარსოსკენ მიემართებოდა, ჩვენ უკუ ვაგდეთ, მტრის ჰიდროპლანებმა 11 ყუმბარა ჩამოაგდეს, მაგრამ ზიანი არ მოუყენებიათ.

სახალხო მასწავლებელი და სოფელი.

ხშირად გაიგონებთ სახალხო მასწავლებელთა სამართლიან გოდებას თავის უმწეო მდგომარეობაზე. ჩვენც თანაგრძნობით ვეკიდებით მათ მწუხარებას, რადგანაც ვიცით, რომ მათი გასაჭირი იგივე ჩვენი გასაჭირია, მათი მხიარულება ჩვენივე მხიარულებაა. დღეს კი, ჩვენდა სასიხარულოდ, სახალხო მასწავლებლებმა ერთი ნაბიჯი წინ გადადგეს მასწავლებელთა ორგანიზაციის დაარსებით და ვიმედოვნებთ, ეს საზოგადოება ბევრ სარგებლობას მოუტანს, როგორც მასწავლებლებს, ისე არა მასწავლებელთაც.

ვისაც ანბანი უსწავლია, ყველამ იცის, თუ სახალხო მასწავლებელს რა დიდი და მნიშვნელოვანი როლი აქვს შესასრულებელი; ისიც ვიცით, თუ რა მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. თითო ოროლა მასწავლებლის მედგარი ხმა ცხოვრების მძიმე პირობების შეცვლისა და გამეფებულ უკანონობის მოსასპობათ დღემდი რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა არ იყო საერთო მოთხოვნა, საერთო გამოსვლა ამა თუ იმ არა სასურველ მოვლენის წინააღმდეგ და ამიტომაც ყოველთვის დამარცხებული და აბუჩად აგდებული ვიყავით ყველასაგან. დღეს კი მასწავლებელთა შეკავშირება დიდათ ხელს შეუწყობს მათ მთლიანობას, ერთსულოვან მოქმედებას, რასაც, უეჭველია, შედეგათ მოყვება როგორც მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, ისე სწავლის საქმის დაყენება კარგ ნიადაგზე ჩვენს სკოლებში.

გარდა ამისა მასწავლებელთა კავშირი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ზოგიერთ მასწავლებლის არა სასურველ მოქმედებას, რომელ მოქმედებასაც ცუდი შედეგი მოაქვს ბავშთა ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებაზე და ასეთ მასწავლებელთ ადგილს არ მისცემენ სოფლის სკოლაში, უკეთუ იგი არ მოიქცევა ისე, როგორც ამას მოითხოვს საღი პედაგოგიკა.

მასწავლებელი სოფლის სული და გულია და მას ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია სოფელში, თუ მარტო თავის პირადი „მე“ არ აქვს დასახული მიზნათ. ვინ უნდა ედგას სოფლის კულტურულ დაწესებულებებს სათავეში? რასაკვირველია, მასწავლებელი.

და მასწავლებელთა კავშირმა უნდა მოითხოვოს ყველა მასწავლებლისაგან არა თუ ჯეროვანი ყურადღების მიქცევა ამ დაწესებულებისადმი, არამედ მეთაურობა მათ დასაარსებლათ სოფლებში.

ტყვილა ვერავინ იმართლებს თავს, რომ მას ხალხზე არ შეუძლია გავლენა იქონიოს. ხალხი ნამდვილ მასწავლებელს — მისთვის გულშემატკივარ პირს — ყოველთვის აფასებდა და დააფასებს და გაუგონებს კიდეც ყოველივე საქმეში. და თუ ამას ზოგიერთი მასწავლებელი ვერ ახერხებს, მისი დაუდევრობითა და უმოქმედობით აიხსნება. ხალხი არც ისე ბრმაა, რომ ავი და კარგი ვერ გაარჩიოს და კარგის გამკეთებელს ყოველთვის პატივისცემით მოეპყრობა.

რა გავლენა უნდა მოიპოვოს იმ მასწავლებელმა, რომელსაც გარდა თავის ჯამაგირისა, ბავშების განვითარება — ზნეობრივათ და გონებრივათ, არ აინტერესებს; რომელსაც ხალხის ჭირი-ჭირათ არ მიაჩნია და ლხინი ლხინად? რასაკვირველია, ასეთი მასწავლებელი ყველგან აბუჩათ იქნება აგდებული და არც ალაგი უნდა ჰქონდეს სკოლაში ამას კი, როგორც ზევითაც ვსთქვით, მასწავლებელთა კავშირი მიაქცევს ყურადღებას და ჩვენს სკოლებს მართლა საქმით დაინტერესებული პირები მოეფინებიან, რომელთა მოქმედებაც სათანადო ნაყოფს გამოიღებს ხალხის კულტურულ ეკონომიურ და გონებრივ განვითარების საქმეში

თუ ეს ასეა, მასწავლებელთა კავშირი მარტო მასწავლებელთათვის არაა სასიხარულო, იგი სასიხარულოა ჩვენთვის — არა მასწავლებელთათვისაც და ჩვენი მოვალეობაა ამ კავშირს ნივთიერი დახმარება გავუწიოთ, რომ იგი მტკიცე ნიადაგზე დადგეს.

მეთვალყურე.

პროვინციის ცხოვრება.

დ. ჩხარი. (ზემო იმერეთი). როგორც სარწმუნოთ გვიგეთ, დ. ჩხარის მცხოვრებთ 10,000 მანეთი გადაუდვიათ უმაღლესს პირველ დაწყებით სასწავლებლის დასაარსებლათ თუ ამავე სასწავლებელთან აგრონომიული განყოფილება არ დაარსდა, ისე ეს სასწავლებელი სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამიტომ საჭიროა მცხოვრებლებმა ახლავე მოითხოვონ, აგრონომიული განყოფილების დაარსება ამ სასწავლებელთან, უკეთუ ჩვენში არაა მოხსენებული ამ განყოფილების დაარსებაზე, რაც მაუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენი ხალხისათვის სამეურნეო სწავლა ცოდნის გასავრცელებლათ მათში.

ადგილობრივი უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო გამოცოცხლდა. სწორედ მკვდრეთით აღდგომილს ჰგავს იგი დღეს. ნამდვილ მადლობის ღირსია მისი ახალი გამგე, რომელმაც შიგ შუა დაბაში (ბაზარში) შესაფერს ბინაზე მოათავსა სამკითხველო და თავ-თავის დროზედაც დაია. რაც კი მოიპოვება ქართულს ენაზე ჟურნალ-გაზეთები, ყველას დებულობს სამკითხველო. მისდის რუსული ჟურნალ-გაზეთებიც. გასაოცარი ისაა ყველაზე არ შეიძლება. ერთი მეორე შენიშვნა არ მივსცეთ ბ გამგეს. ძალიან მადლობელი ვიქნებით, თუ ხმა მაღლა ლაპარაკსაც მოსპობს სამკითხველოში; სხვა ჯერ-ჯერობით რიგზეა და, იმედია კვლავაც უფრო ენერგიულად იზრუნებს მისთვის.

ამ დღეებში ჩხარელებმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს ბ. ამბროსი დარისპანის ძეს ბარათაშვილს. ბ ბარათაშვილი აქეთ რვა წელზე მეტია, რაც აქ მსახურებს და დიდი სიყვარულიც დაიმსახურა ხალხში უკეთესის მხრივ. ჩხარში თუ რამე მოიპოვება კულტურული დაწესებულებანი, ყველგან გულ მხურვალე მონაწილეობას იღებდა იგი და თავისუფალ წუთებს უსასყიდლოდ სწირავდა ყველა დაწესებულებას. ჩხარის წვრილი ნდობის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის ერთი დამაარსებელთაგანი იგიც იყო, სადაც იმსახურა გამგეობის წევრად თითქმის ორ წლამდის უსასყიდლოდ. ბ. ბარათაშვილი მღვდლის შვილია, სოფელ ძევრიდან, რომელიც დაშორებულია ჩხარზე სამი ვერსით და შუაზე ჩამოუდის მდინარე ძირულა იგი ამ ჟამად გადაყვანილია ბორჯომის მაზრაში, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად.

ხალხის მოჭირნახულე პირს, ყოველთვის შეუძლია შესაფერი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახუროს, როგორც ეს დაიმსახურა ბ ბარათაშვილმა.

იმედია, ბ. ბარათაშვილი ახალ ადგილზეც არ მოაკლებს თავის მზრუნველობას ხალხს.

ი. ძირულისპირელი.

სოფ. ქედ ხუბანი (რაჭის მაზრა). აქ არის გახსნილი ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა რომელშიაც 80 მეტი მოსწავლე იმყოფება. მასწავლებლათ დანიშნულია მახლობელ სოფლის (ჯვარისის) მცხოვრები ტერენტი ბოჭორიშვილი, რომლის ენერგიაც და შრომაც აღსანიშნავია. ის სულით და გულით მისცემია ამ თანამდებობას და მას წმინდა მოვალეობას პირნათლად ასრულებს... რამოდენიმე წლის წინად ეს სკოლა გაპარტახებული იყო და არავინ ყურადღებას არ აქცევდა; მაგრამ ბოჭორიშვილის მოსვლისთანავე დიდათ გამოცოცხლდა. ის იზიდავდა სასწავლებლათ სოფლის პატარა ბავშებს და 80 მეტი მოსწავლე შეაგროვა. ხშირად მინახავს, რომ ეს მასწავლებელი, მოსამსახურის უქონლობის გამო, თავისი ხელით ჰგვიდა ოთახს იატაკს და სკოლის ეზოს ასუფთავებდა.

ამ აუტანელი სიძვირის დროს, როდესაც ყოველივერი [illegible] გახდა, მასწავლებლების ცხოვრებაც გაძნელდა ზემოხსენებული მასწავლებელს ეძლევა თვეში 15 მანეთი და ამ ფულით მან კიდეც უნდა იქირაოს (3 მანეთი დღეში) რომ ადგილები დაამუშაოს, ოჯახში საჭირო სანოვაგეც უნდა იყიდოს და სკოლისთვის საჭირო ნივთებიც უნდა შეიძინოს. (სკოლას შემოსავალი ცოტა აქვს და ისეთი საჭიროებანი, როგორიც მაგ: ცარცი მელნი და სხვა მასწავლებელმა უნდა შეიძინოს იმ ჯამაგირიდან, რომელიც მას ეძლევა)

ყველასათვის აშკარაა, რომ 15 მანეთით ცხოვრება შეუძლებელია ასეთ [illegible] დროს იმედია, რომ ამ საქმეს ყურადღება მიექცევა, ვისგანაც ჯერ არს.

შალიკო ჯვარისელი

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოს“ საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემდეგი დახმარება აღმოუჩინეს „ძირულის“ უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს.

შემომწირველთა სია:

ძირული: სადგურის უფრ. ვანო მაჭავარიანის მეუღლემ ფულათ 2 მ., ნივთებით 3 მ., სულ 5 მ., ნიკოლოზ სიმონის ძე კამკამიძემ—10 მან., მაშო და კატო სუხიაშვილმა თითო მანეთი, ვალერიან ებანოიძემ 1 მ., მარიამ პ. 10 შაური, ლიდამ ა. 10 შაური, მარიამ ამირანის ასულმა 2 მან., კალინკა ა. ორი შაური, აგრაფინა ა. ორი შაური, შუშანია ებანოიძემ 1 მ., ბიკტორ გორგაძემ 1 მ., ტრიფონ ნიორაძემ 2 მ., გაბრიელ ეფრემის ძე ებანოიძემ „ზეირთი“ ერთი წლით, ლადიმერ ბერაძემ 1 მ., პეტრე გველესიანმა 1 მ. 10 შაური, სამსონ ლამბაშიძემ და გალაქტ. გველესიანმა თითო მ., ვანო კვინიკაძემ 2 მან., დავით ამაშუკელმა ფულად და წიგნი 4 სანდრო გიორგაძემ 2 მ., არტემ [illegible] მანეთი.

სამკითხ. [illegible]

რედაქტორი **ი. ციციაძე.**

გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლ**

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50
„	— საღამ.	—6 ს.	57
ბათომიდან	— დილით	— 1 ს.	25
„	— ღამის	— 2 ს.	23
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	8
ტყიბულიდან	—საღამოს	— 7 ს.	39
შორაპნიდან	— დილას	— 9 ს.	18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	—დილის	— 11 ს.	55
„	— ღამის	— 1 ს.	7
ბათომისაკენ	— დილით	—5 ს.	30
„	— დილის	— 4 ს	27
ფოთისაკენ	— დილის	— 4 ს.	27
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20
შორაპნისაკენ	—დილით	— 5 ს.	—

ს.|ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
მიიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლ
ხ. ხრისტოდულიდის.
მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის მ
თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს.

აბრეშუმის თესლი.
უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საა
შუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხ
უკვე ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველო
გასავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვთხოვ: თბილისში მომმართ
პირდაპირ მე (სასტუმრო ორიენტი) და თბილისის გარეთ ჩემს წ
მომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, ახალ
იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.
საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებ
92 მაერ ბადიჯ კოხერი.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქ. სავ. სახლ
მიღებულია საუკეთესო საშუალება „ოსტიოკოლი“
ღვინის გასაწმენდათ ლექისგან.
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ზომიერ

სიფილისი.
ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ
ექ. დი-ვეზის პრეპარატის საშუალებით.
სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.
პრეპარატი ექ. დი-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულად წამლობის დროს.
პრეპარატი. ექ დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს.
ხითარმავეს თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის საფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩ., თეატრის პირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფისა 5 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.
9 პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)